აბაშის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ
2023 წელი

ანგარიში შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლისა და აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების „აბაშის მუნიციპალიტეტის მერისა და აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის“ შესაბამისად.

აღმასრულებელი ორგანოს შეფასების მთავარი კრიტერიუმი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის დონე და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაა. აღნიშნულის მისაღწევად მერის უფლებამოსილების დაწყების პირველივე დღიდან დავიწყეთ სათანადო მუშაობა. პირველ ეტაპზე განვახორციელეთ მერიის სტრუქტურული რეორგანიზაცია ეფექტური მენეჯმენტისა და სწორი ადმინისტრირების მისაღწევად. ჩამოყალიბდა მერიის ახალი სტრუქტურა, არსებული და ახალი საკადრო რესურსი ოპტიმალურად იქნა გადანაწილებული სხვადასხვა სამსახურში კვალიფიკაციის შესაბამისად, რითაც შესაძლებელი გახდა მთლიანად მერიის მუშაობის თვისობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება.
დღეის მდგომარეობით მერიის 10 სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულია 80 საჯარო მოხელე (სულ საშტატო ერთეული- 88 (8 ვაკანსია), ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირია 23 (10 ვაკანსია) და 11 შტატგარეშე მოსამსახურე.

ადგილობრივი ბიუჯეტი და შესყიდვები

მუნიციპალიტეტისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების ძირითადი წყაროა ფინანსური რესურსები, რომელთა ეფექტიანად გამოყენებითაც უნდა განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებები ინფრასტრუქტურის განვითარების, ეკონომიკური წინსვლისა და სოციალური გარემოს გაუმჯობესებისთვის. არსებული საბიუჯეტო რესურსების პირობებში ოპტიმალური გადანაწილებით ვახერხებთ იმ ძირითად გამოწვევებზე პასუხის გაცემას, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2022 წლის 27 დეკემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №10 დადგენილებით, ბიუჯეტი დამტკიცდა 10 022.1 ათასი ლარით. დამტკიცებულ ბიუჯეტში სულ განხორციელდა სამი ცვლილება. ბოლო ცვლილება განხორციელდა საკრებულოს 09.10.2023 წლის №17 დადგენილებით და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამტკიცდა 20 142.8 ათასი ლარის ოდენობით;
მუნიციპალიტეტის შემოსულობების 9 თვის გეგმა იყო 17 112.7 ათასი ლარი. შესრულებამ შეადგინა 14 016.0 ათასი ლარი (გეგმა შესრულდა 82 %.); ხოლო შემოსავლების გეგმა შეადგენდა 15 782.9 თას ლარს, ფაქტიური შესრულება 13 009.7 ათასი ლარი (გეგმა შესრულდა 82 %.).
მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს ინფრასტრუქტურა, განათლება, კულტურა, სპორტი და სოციალური პროგრამები.

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - შესრულებამ შეადგინა 5 544.5 ათასი ლარი; გეგმა იყო 7 456.8 ათასი ლარი (დაფინანსებულია 74 %-ით). მათ შორის:

ა. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება გეგმა 3 290.4 ათასი ლარი; ფაქტიური შესრულება 3 063.1 ათასი ლარი (დაფინანსებულია 93 %-ით);

ბ. ბინათმშენებლობა, დაფინანსება - გეგმა 689.7 ათასი ლარი, შესრულება 460.0 ათასი ლარი (დაფინანსებულია 67 %-ით);
გ. გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, დაფინანსებულია 105.6 ათასი ლარით, დაგეგმილი იყო 107.0 ათასი ლარით (დაფინანსებულია 99 %-ით);
დ. სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაციის გეგმა იყო 851.5 ათასი ლარი; ფაქტიური შესრულება 242.2 ათასი ლარი (დაფინანსებულია 28 %-ით);
ე. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაგეგმილი იყო 674.8 ათასი ლარით, ფაქტიური შესრულება 279.9 ათასი ლარი (დაფინანსებულია 41 %);
ვ. მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებების გეგმა იყო 1 407.4 ათასი ლარი; ფაქტიური შესრულება 1 184.2 ათასი ლარი (დაფინანსებულია 84 %-ით);
ზ. საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპორტო მომსახურეობის შესყიდვა, გეგმა 406.0 თასი ლარი; ფაქტიური ხარჯი 194.4 ათასი ლარი (დაფინანსებულია 48 %-ით);
თ. ტურიზმი გეგმა იყო 30.0 ათასი ლარი, ფაქტიური ხარჯი 15.0 ათასი ლარი (დაფინანსებულია 50 %-ით) დაფინანსებულ იქნა ა(ა)იპ „სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ (რეგიონში ტურიზმის განვითარების მოდელის შექმნის ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაცია);
2. დასუფთავება და გარემოს დაცვა, გეგმა 381.0 ათასი ლარი; ფაქტიური შესრულება 314.7 ათასი ლარი (დაფინანსებულია 83 %-ით);
3. განათლება დაფინანსდა 1846.4 ათასი ლარით, გეგმა შეადგენდა 2 021.8 ათას ლარს (დაფინანსებულია 91 %-ით);
4. კულტურის სფეროს განვითარება დაფინანსდა 555.7 ათასი ლარით, გეგმა იყო 706.9 ათასი ლარი. (დაფინანსებულია 79 %-ით);
5. სპორტის სფეროს განვითარება დაგეგმილი იყო 893.1 ათასი ლარით, ფაქტიური შესრულება 594.7 ათასი ლარი; (დაფინანსებულია 67 %-ით);
6. ახალგაზრდობის მხარდაჭერა დაგეგმილი იყო 14.5 ათასი ლარით, ფაქტიური შესრულება 1.8 ათასი ლარი (დაფინანსებულია 12 %-თ);
7. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა -დაფინანსდა 926.0 ათასი ლარით. გეგმა - 1 026.6 ათასი ლარი (დაფინანსებულია 90 %-ით);

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულია 75 ხელშეკრულება 2467234,27 ლარზე, აქედან 17 ხელშეკრულება წარმოადგენს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოებს, რომლის საერთო ჯამური ღირებულება შეადგენს 498759.48 ლარს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში გაფორმდა 18 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 1771207,91 ლარზე, ხოლო ერთობლივი შესყიდვის ფარგლებში გაფორმდა 1 ხელშეკრულება 20 000 ლარზე.
ელექტრონული ტენდერის საშუალებით მერიამ გააფორმა 25 ხელშეკრულება, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 7328747,57 ლარს, აქედან ინფრასტრუქტურული პროექტების წილი 7275431,05 ლარია.

ინფრასტრუქტურა და ზედამხედველობა

ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახურმა 2023 წლის განმავლობაში მოამზადა სხვადასხვა სახის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ინფრასტრუქტურული პროექტები, რის შედეგად შესაძლებელი გახდება ახალი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა და არსებული ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-პატრონობა.

მიმდინარე წელს დაგეგმილი სამუშაოებისათვის, საქართველოს მთავრობამ, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, აბაშის მუნიციპალიტეტს 2022 წლის 25 ოქტომბრის N1932 განკარგულებით გამოუყო 5 526 822 ლარი, სადაც ჩვენი თანამონაწილეობის წილი შეადგენდა 400 000 ლარს. 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით შევიდა ცვლილება და გამოეყო 3 248 022 ლარი. 2023 წლის 22 აგვისტოს N2475 განკარგულებაში შევიდა ცვლილება და გამოეყო 4 335 566 ლარი.
აღნიშნულ პერიოდში მომზადებული სატენდერო დოკუმენტაციის საფუძველზე გამოცხადდა შესყიდვა და უკვე განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები შემდეგ ლოკაციებზე:

სოფელ მარნის N14 N12 გზის ქუჩების ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობა- 2427 მეტრი, 94 568 ლარის ღირებულების;
სოფ. გაუწყინარში N1 ქუჩის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - 1890 მეტრი, 177 700 ლარის ღირებულების;
სოფ. გაუწყინარში ქუჩა N5-ის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - 3000 მეტრი, 292 333 ლარის ღირებულების;
სოფ. პირველ მაისში კუდაეწერში N4 გზის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - 2168 მეტრი; 127 756 ლარის ღირებულების;
სოფ. ნაესაკოვოსა და კოდორის შემაერთებელი გზის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - 2668 მეტრი, 116 639 ლარის ღირებულების;
სოფ. ნაესაკოვოში შუაქალაქის უბნიდან იპოდრომამდე გზის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - 3627 მეტრი, 283 310 ლარის ღირებულების;
სოფ. აბაშისპირის ქუჩა N5-ის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - 1056 მეტრი, 72 005 ლარის ღირებულების;
სოფ. ქოლობანში N5 (პატარა გეზათი) გზის მოწყობა - 1613 მეტრი, 84 677 ლარის ღირებულების;

სოფ. ძვ. აბაშაში N1 ქუჩაზე ორფენიანი ასფლტო-ბეტონის საფარის მოწყობა-1664,37 მეტრი; 459290,00 ლარის ღირებულების;
სოფ. ზანათიდან სოფ. ძიგურამდე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა-3000 მეტრი; 734000,00 ლარის ღირებულების;
ქ. აბაშაში, ცანავას ქუჩის შესახვევის მოწყობა ასფალტო-ბეტონით, ცანავას ქუჩიდან იპოდრომის გავლით ცანავას ქუჩამდე -756 მეტრი; 200000,00 ლარის ღირებულების;
სოფ. ეწერში ქ. N6 და N8 მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - 2580 მეტრი; 595360,00 ლარის ღირებულების;
სოფ. სუჯუნაში სანოდიო-სამატკაოს უბანში ქუჩის N11, N12 და N15 გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით - 4159 მეტრი, 968200,00 ლარის ღირებულების;
სოფ. მარანში N5 ქუჩის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები - 900 მეტრი; 178150,00 ლარის ღირებულების;
სოფ. ტყვირში N5 ქუჩიდან ტყვირის ტაძრის მიმართულებით ცემენტო-ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოები - 3500 მეტრი; 1435336,00 ლარის ღირებულების;
ქ. აბაშაში ქუჩიშვილის ქუჩა და მისი შესახვევები ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა-710 მეტრი; 156696, 00 ლარის ღირებულების;
აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. მარანჭალაში #9; #5 და #3 ქუჩებზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები 3130 მეტრზე სავარაუდო ღირებულებით 1 031 595 ლარი.
სოფ. ნორიოში მაცხოვრისკარიდან სოფ. ძველი აბაშის მიმართულებით გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები, სიგრძით 2200 მეტრზე სავარუდო ღირებულებით 351 305 ლარი.
სოფ. ნორიოში საბოკუჩაოს უბანში ქუჩების N2 და N3 ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები სიგრძით 3502 მეტრი სავარაუდო ღირებულებით 936 000 ლარი.

ქ. აბაშაში, ააიპ აბაშის კეთილმოწყობის სამსახურის ეზოს კეთილმოწყობა რკ/ბეტონის საფარით 2525 კვმ-ზე სავარაუდო ღირებულებით 221 525 ლარი.
ქ. აბაშაში, ჯორჯიკიას ქუჩისა და პატარა ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით 3402 კვ.მ-ზე, სავარაუდო ღირებულებით 364 181 ლარი.
ქალაქის ცენტრში მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები 600 კვ.მ-ზე, სავარუდო ღირებულებით 120 000 ლარი.
ქალაქის ცენტრში მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები 600 კვ.მ-ზე, სავარაუდო ღირებულებით 120 000 ლარი.
აბაშა, თავისუფლების ქუჩა #157-ში, საბავშვო გასართობი ატრაქციონისა და სკვერის მოწყობის სამუშაოები 150 კვ.მ-ზე, სავარაუდო ღირებულებით 70 000 ლარი.
აბაშა, თავისუფლების ქუჩა #35-ში საბავშვო გასართობი ატრაქციონისა და სკვერის მოწყობის სამუშაოები 150 კვ.მ-ზე, სავარაუდო ღირებულებით 70 000 ლარი.
ზემოხსენებული პროექტებიდან 16 პროექტი დასრულებულია, 9 პროექტზე ჩატარდა ტენდერი და 7 ზე დაიდო ხელშეკრულება, ხოლო 2 პროექტზე გამოცხადებულია ტენდერი.
დღეის მდგომარეობით არსებული პროექტების ფაქტიური შესრულება არის 75% პროცენტი. საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულება შეადგენს 85 %-ს.
ასევე 2024 წლის იანვრიდან დაგეგმილია კეთილარში, სამიქაოსა და ნაესაკოვოში ახალი საბავშვო ბაღების შენობის მშენებლობა, ხოლო მაიდანსა და მარანში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები. რაც შეეხება სკოლებს, მიმდინარეობს რეაბილიტაცია სოფ. მარანში, ქ. აბაშაში ნოღოხაშის საჯარო სკოლაში და ონტოფოს საჯარო სკოლაში, რომელიც დასრულდება მაისის თვეში.
აბაშის მუნიციპალიტეტში 2023 წლის 11-14 იანვრის სტიქიის შედეგების (შტორმული ქარი) სალიკვიდაციო პროექტის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:
გადაიხურა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები;
ავარიული და საცხოვრებლად გამოუსადეგარი 5 სახლის ნაცვლად, ახალი, თანამედროვე საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დასრულების პროცესშია.
ასევე, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროექტის ფარგლებში, დაზიანებული მილ-ხიდების, დამბებისა და სხვა ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდება, კერძოდ:
* სამიქაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ყურუების უბანში მდ. კობზაზე ხიდის მოწყობა.
* ნორიოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. ცუდღარზე დაზიანებული ხიდის მოწყობა, ონტოფოს ადმინისტრაციულ ერთეულში გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა №125-ის გვერდით შემავალი ჩიხში არსებული მილ-ხიდის მოწყობა, ონტოფოს ადმინისტრაციულ ერთეულში გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა №52-ის გვერდით შემავალი ქუჩის მილ-ხიდის მოწყობა, გეზათის ადმინისტრაციულ ერთეულში გეზათი-ქოლობნის საზღვარზე, აუზების დასაწყისიდან დაზიანებული ხიდე-ბოგირისა და ასევე დაზიანებული გზის სავალი ნაწილის მოწყობა ახალი რკინა-ბეტონის საფარით.
* გეზათის ადმინისტრაციულ ერთეულში უბანი, კოდარა, მდ. კოვზაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდის და ხიდის გვერდულების მოწყობის სამუშაოები.
* ონტოფოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. ნოღელაზე დაზიანებული ხიდის მოწყობის, სეფიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სამელიოს უბანში სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდე-ბოგირის მოწყობისა და გეზათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გულუხეთში, მდ. კოვზაზე ამოწმენდის სამუშაოები, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს.
მიმდინარე წლის 10-11 ივლისს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროექტის ფარგლებში განხორციელდა დაზიანებული ობიექტების აღრიცხვა და მიმდინარეობს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მზადება, რათა შემდეგში გამოიყოს სახსრები და განვახორციელოთ სამუშაოები.

რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელ პროექტებს, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულებით, აბაშის მუნიციპალიტეტს გამოეყო 500 000 ლარი. გამოყოფილი თანხის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევა და პრიორიტეტების განსაზღვრა ხდებოდა მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით. აღნიშნული პროექტების ფარგლებში განხორციელდა გზების მოწესრიგების, ხიდე-ბოგირების, სპორტული ინფრასტრუქტურის, სკვერების მოწყობისა და არხების გაწმენდითი სამუშაოები.
ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახურმა საანგარიშო პერიოდში გასცა:
მშენებლობის სანებართვო მოწმობა - 36
თანხმობა I კლასის ხაზობრივი ნაგებობა-10
სარეკლამო ბანერის მოწყობა-10
მიწის კატეგორიის ცვლილება-6
მიწის დაყოფა-გაერთიანებია-60
სამსახურმა სხვა უწყებებთან კოორდინაციაში (შ.ს.ს.სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მასში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულებები, ს.ს.საქართველოს რკინიგზა და სხვა.) გასცა ნებართვები და შეთანხმებები. მუნიციპალიტეტის სამსახურებთან და ა(ა)იპ-თან კოორდინაციის შედეგად მოგვარდა აბაშის მოსახლეობის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხი.
აღნიშნული სამუშაოების განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ტრანსპორტის, ჯანდაცვის, განათლების, საბინაო-კომუნალური მომსახურების სერვისებზე და უსაფრთხო, ეკოლოგიურად ჯანსაღ და კეთილსაიმედო გარემოზე.

ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა მოამზადა და მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2022 წლის 27 დეკემბრის #11 დადგენილებით დაამტკიცა ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მუნიციპალური სოციალური პროგრამებისა და დახმარების გაცემის წესი" და მუნიციპალური სოციალური პროგრამების 17 პროექტი. ამ დადგენილების თანახმად, მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 25 თებერვლის #ბ10.1023056001 ბრძანებით შეიქმნა ,,სოციალური დახმარების გაცემის კომისია", რომელშიც მერიის და საკრებულოს პასუხისმგებელ პირებთან ერთად, სამსახურის ყველა თანამშრომელია ჩართული.

2023 წლის მუნიციპალური სოციალური პროგრამების ბიუჯეტი ამ ეტაპზე შეადგენს 674 600 ლარს.

საანგარიშო პერიოდში ,,სოციალური დახმარების გაცემის კომისიის" 42 სხდომა ჩატარდა. საანგარიშო პერიოდში 16 მუნიციპალური სოციალური პროგრამის ფარგლებში შესაბამისმა კომისიამ განიხილა 1 412-მდე განცხადება. დახმარება მიიღო სხვადასხვა კატეგორიის 2 153-მა ბენეფიციარმა (,,მზრუნველობა მოკლებული მოსახლეობის უფასო კვების" ბენეფიციართა გარდა). არგუმენტირებულად უარი ეთქვა --2 ბენეფიციარს.

17 მუნიციპალური სოციალური პროგრამით განსაზღვრული თანხები გახარჯულ იქნა შესაბამისი კატეგორიის პირებზე (ოჯახებზე) შემდეგი ოდენობით:

საანგარიშო პერიოდში სულ დახმარება გაეწია 2 200 ბენეფიციარს, თანხით 530 603, 83 ლარი.
ვთანამშრომლობთ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან - ,,კოალიცია სოციალური რეფორმებისათვის", ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი, ასოციაცია ,,ჰანგი" საერთაშორისო ასოციაცია ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის", ადგილობრივი არასამთავრობო

ორგანიზაცია ,,სიკეთის მაძიებელი“ და სხვა, არსებული სერვისების გაუმჯობესებასა დ ახალი პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით.

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარება

მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ძირითადი დასაყრდენი ხელოვანები, კულტურის სფეროში დასაქმებული შემოქმედი ადამიანები, დარგის სპეციალისტები და პედაგოგები არიან. მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა, ზრუნვა პროფესიულ განვითარებაზე, მონაწილეობის უზრუნველყოფა ტრენინგებში, მასტერკლასებში, სემინარებში, კონკურსებში, წახალისება, დაჯილდოება მიღწეული წარმატებებისათვის.

ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის გამარჯვებული ნომინაციაში ,,ქორეოგრაფია“ გახდა ანსამბლი ,,ჰარირა“(ქორ. ანზორ თორდია); ნომინაციაში ,,მუსიკა“, ფესტივალის ლაურეატები გახდნენ: ანსამბლ „ჰარირას“ ქალთა კვარტეტი (ხელ-ლი: ვლადიმერ ავალიანი), ანსამბლი „სუჯუნა“ (ხელ-ლი: შაქრო რუსია), ნომინაციაში ,,სახვითი და გამოყენებით ხელოვნება“ - ირმა გვაზავა.

სსიპ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა აბაშის მუნიციპალიტეტის მერიას გადმოუგზავნა მადლობის წერილი ფესტივალის მხარდაჭერისა და ქართული ტრადიციული კულტურის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით და მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით 4 იანვარს აბაშაში საახალწლო ზეიმი გაიმართა. სამსახურმა ორგანიზება გაუწია პროგრამით გათვალისწინებულ, ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით ჩატარებულ კონცერტს. მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებული „მუსიკალური საღამოები“ ჯგუფ “შერეკილებისა” და „Corpa Fellas“-ის კონცერტით დასრულდა.

საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და დაფინანსებით პროექტის ,,მშვიდობა თქვენდა“ ფარგლებში მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა ქართული ესტრადის პოპულარულ მომღერლებს.

კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა სხვადასხვა სახის, შინაარსის ფორმის ღონისძიებები. მათ შორის: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, რეფერენდუმისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული გმირის, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღისადმი, ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილი თემატური ღონისძიებები. პატივი მიეგო რუსეთ – საქართველოს ომში, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა, მათ შორის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსნების, უფროსი ლეიტენანტების გიორგი ნადარეიშვილისა და სერგო მელიას ხსოვნას.

მოეწყო ხელოვნების სკოლის სამხატვრო განყოფილების მოსწავლეთა ნახატების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა (პედაგოგი: შაქრო ტყვაცირია). შემოსული თანხით მოსწავლეები სოციალურად დაუცველ თანატოლებს დაეხმარნენ.

აღინიშნა ,,ეროვნული სამოსის დღე“ და მუზეუმების საერთაშორისო დღე. ხელოვანთა საერთაშორისო გაერთიანების, ,,ლეგენდების ქვეყანას“ და აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზატორობით და მხარდაჭერით ფოლკლორის VIII საერთაშორისო ფესტივალს ვუმასპინძლეთ. ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირის, ,,ჰარმონიას" მიერ ორგანიზებული მე-9 საერთაშორისო კონკურსის ,,ნორჩი ვირტუოზების” ლაურეატები და სხვადასხვა საპრიზო ადგილების მფლობელები გახდნენ ხელოვნების სკოლის საფორტეპიანო სპეციალობის მოსწავლეები.

საქართველოს ხელოვნების აკადემიის ორგანიზებითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია მე-2-ის პატრონაჟით ჩატარებულ რიგით მე-10 საიუბილეო, სენაკის ,,დასავლეთ და

აღმოსავლეთ საქართველოს ხელოვნების ფესტივალზე'', ხელოვნების სკოლის პედაგოგები საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ქ. ბორჯომში ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირ „ჰარმონიას'' მიერ გამართულ კლასიკური მუსიკის ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებელთა III საერთაშორისო კონკურსის მე-2 ადგილის მფლობელები გახდნენ ასევე ხელოვნების სკოლის მოსწავლეები.

საერთაშორისო კონკურს-ფესტივალ ,,ჰარირა - 2023"-ში მონაწილეობისთვის მიწვეულნი იყვნენ კულტურისა და ხელოვნების განვითრების ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ანანური" (ქორ. ელისო გაბელაია), ხელოვნების სკოლის ფოლკლორული ანსამბლი ,,ჯარგვალი" (ხელმძღ. მოველ მაკალათია) და ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,იმედი" (ქორ. ზურაბ ჟღენტი, რეპეტიტორი: ბექა კუცია).

ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა პედაგოგ ინგა ოდიშარიას დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების, კონკურს-ფესტივალების ლაურეატების კონცერტი. საჩუქრებითა და მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ წარმატებული პედაგოგები: ინგა ოდიშარია და შაქრო ტყვაცირია. მადლობის სიგელები გადაეცათ ხელოვნების სკოლის პედაგოგებს, კონკურს-ფესტივალებში მონაწილე მოსწავლეებს.

ქ. ქობულეთში საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე -,,ჰარირა" I ადგილის მფლობელი გახდა ანსამბლ ,,ანანურის" უმცროსი თაობა (ქორ. ელისო გაბელაია), II ადგილზე გავიდა ანსამბლი ,,იმედი" (ქორ. ზურა ჟღენტი, ბექა კუცია).

ზუგდიდში პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის III საერთაშორისო ფესტივალი - ,,კოლხი და..."-ში მონაწილეობდა აბაშის კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის ანსამბლ ,,ჰარირას" მომღერალთა გუნდი (ლოტბარი - მოველ მაკალათია).

გასულ სასწავლო წელს ხელოვნების სკოლა 36 მოსწავლემ დაამთავრა. მიმდინარე, 2023-2024 სასწავლო წელს ჩაირიცხა 66 მოსწავლე. მოსწავლეთა საერთო რაოდენობაა 269.

მუნიციპალიტეტს აქვს ტურისტული პოტენციალი. გვაქვს ტურისტულად მიმზიდველი ობიექტები, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე 5 ტაძარი (ეკლესია); არქიტექტურული ძეგლი - მეცენატის და საზოგადო მოღვაწის აკაკი ხოშტარიას სასახლე, უძველესი არქეოლოგიური ძეგლი ,,ნამარნუს'' ნამოსახლარის ბორცვი (ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანები- ახ. წ. Vს.), ჭანტურიების სამოსახლო კომპლექსი და სინაგოგა. მიმდინარეობს მარნის ყოფილი კულტურის სახლის რეაბილიტაციის პროცესი, რომლის დასრულების შემდგომ იგი თანამედროვე სტანდარტის მულტიკულტურულ ცენტრად იქცევა და რეგიონის მასშტაბით არაერთ მნიშვნელოვან და საინტერესო კულტურულ პროექტს უმასპინძლებს. შენობა ერთ-ერთი გამორჩეული ნაგებობაა და მას 2016 წლიდან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

მუნიციპალიტეტის შემოსასვლელში, სოფ. მარანში გაიხსნა ახალი ტურისტული საინფორმაციო ცენტრი. ცენტრს სამეგრელოში ინფო-ტურის ფარგლებში სტუმრობდნენ ქართული ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები. ინფო-ტურის მიზანი რეგიონში ცნობილი/ნაკლებად ცნობილი ობიექტების მონახულება, მარშრუტებში მათი გათვალისწინება და ქართველი თუ უცხოელი ვიზიტორებისთვის ტურისტული პაკეტების მომზადებაა.

განათლება, სპორტი და ახალგაზრდული საქმეები

განთლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების ორგანიზებით მიმდინარე წელს არაერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ღონისძიება განხორციელდა.

2020-2021 სასწავლო წლის საჯარო სკოლების 22 მედალოსან კურსდამთავრებულს გადაეცა (19 ოქროსა და 3 ვერცხლის) მედლები. საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის" სამკერდე ნიშანი გადაეცა სოფელ ეწერის საჯარო სკოლის პედაგოგს, ქალბატონ დოდო გაბელაიას.

პროგრამა ,,ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში, 2021-2022 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის წარჩინებული მოსწავლეები პერსონალური კომპიუტერებით დაჯილდოვდნენ. პროგრამის ფარგლებში სწავლაში მიღწეული წარმატებისთვის პერსონალური კომპიუტერი აბაშის მუნიციპალიტეტის 18 მეათეკლასელს გადაეცა.

3 მარტს განათლების განყოფილების ორგანიზებით და მერიის მხარდაჭერით, გენდერული თანასწორობის ფარგლებში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების, წახალისებისა და წარმოჩენის მიზნით, 11 მრავალშვილიან დედას (5 შვილი და ზემოთ) სასაჩუქრე ვაუჩერები გადავეცით.

სამსახურის ინიციატივით უფროსკლასელთათვის სასკოლო ვიქტორინა გაიმართა. ასევე, სამსახურის ორგანიზებით ხელოვნების სკოლის დარბაზში გაიმართა ქართული ენის დღისადმი (14 აპრილი) მიძღვნილი საღამო. 25 მაისს გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - „საქართველო არის ესე!“. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სახელობის პარკში საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

აბაშის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული საბავშვო ბაღები ჩართულები არიან ავტორიზაციის პროცესში. მიმდინარე წლის აგვისტოში აღმზრდელ-პედაგოგებისთვის გაიმართა პროფესიული გადამზადების მეოთხე ეტაპი. ამ ეტაპზე ყველა აღმზრდელ-პედაგოგი სერთიფიცირებულია. მიმდინარეობს საბავშვო ბაღების თვითშეფასების კითხვარებზე მუშაობა. ამ ეტაპზე თვითშეფასება განხორციელდა 5 საბავშვო ბაღში - პირველი მაისის, ტყვირის, სეფიეთის, ეწერის და ნორიოს საბავშვო ბაღებში. მიმდინარე წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის 30-ე წლისთავთან დაკავშირებით, ქალაქ აბაშის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გაიმართა თემატური კონფერენცია ,,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი".

სპორტის დღესთან დაკავშირებით სპორტის განყოფილების ორგანიზებით მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები: ჭიდაობაში, ჭადრაკში, მძლეოსნობაში. აღინიშნა ევროპის სპორტის კვირეული.

ბავშვთა და სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023-2024-ის ფარგლებში საჯარო სკოლებში მოეწყო სხვადასხვა სახის საჩვენებელი სპორტული აქტივობები.

ა(ა)იპ სპორტის განვითარების ცენტრში ფუნქციონირებს: სპორტსკოლა, ტურიზმის სამსახური, ახალგაზრდული პროგრამული მართვის სამსახური და იპოდრომის მართვის სამსახური. სადაც დასაქმებულია 62 თანამშრომელი

სპორტსკოლაში ფუნქციონირებს სპორტის 10 სახეობა (ბ/რომაული ჭიდაობა, ნიჩბოსნობა, ველოსპორტი, ბ/ჰოკეი (ვაჟები, გოგონები), ძიუდო, მძლეოსნობა, ჭადრაკი, ტაეკვონდო, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი) რომელშიც საწვრთნელ საშეჯიბრო ვარჯიშს გადის 200 მოსწავლე, მუშაობს 15 მწვრთნელ-მასწავლებელი.

სპორტის განვითარების ცენტრის სპორტსმენებმა 2023 წლის ოქტომბრამდე მონაწილეობა მიიღეს 47 სხვადასხვა ღონისძიებაში.

ბალახის ჰოკეის გოგონათა გუნდი მონაწილეობდა ინდორ (დარბაზის) ჰოკეიში და ჰოკეი 5-ში 2 ასაკობრივ ჯგუფში, ასევე სხვადასხვა მემორიალურ ტურნირებზე.

ჰოკეის ვაჟთა გუნდი მონაწილეობდა ინდორ (დარბაზის) ჰოკეიში და ჰოკეი 5-ში 2 ასაკობრივ ჯგუფში, ასევე სხვადასხვა მემორიალურ ტურნირებზე. გოგონათა და ვაჟთა ჰოკეისტთა გუნდები 2023 წლის საქართველოს ჩემპიონები არიან, მერიის მხარდაჭერით არაერთი გამარჯვება და წარმატება მოუტანეს ცენტრს და ასახელეს მუნიციპალიტეტი. აბაშელი ჰოკეისტები საქართველოს ნაკრების ძირითად ბირთვს შეადგენენ.

საანგარიშო პერიოდში მაგიდის ჩოგბურთელებმა მონაწილეობა მიიღეს 10 სხვადასხვა ღონისძიებაში:

საქართველოს პირველობაზე U-17-ში ლიპარტია ნინი გახდა 2023 წლის ჩემპიონი, გიორგი ლიპარტია არის 19 წლამდელთა შორის პირველი ნომერი და საქართველოს ნაკრების კაპიტანი.

აბაშელმა ნიჩბოსნები მიმდინარე წელს მონაწილეობდნენ ორ ღონისძიებაში. საქართველოს თასზე, სადაც დაიკავეს 2 მეორე ადგილი, საქართველოს ჩემპიონატზე დიდებში 1 მესამე ადგილი. ცენტრის 5

სპორტსმენი მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო რეგატაზე კვიპროსში, ხოლო ივლისის თვეში ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატზე ავსტრიის დედაქალაქ ვენაში.
საქართველოს პირველობაზე ტაიკვანდოში სპორტსმენებმა დაიკავეს 1 მეორე და 3 მესამე ადგილი. მიმდინარე წელს მძლეოსნები მონაწილეობდნენ ხუთ ღონისძიებაში. საქართველოს პირველობაზე დაიკავეს 1 მესამე ადგილი. რეგიონის პირველობაზე 4 პირველი, 5 მეორე და 2 მესამე ადგილი.

„ახალგაზრდული დღეები - აბაშა 2023-ის“ ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ღონისძიებები მინი ფეხბურთში, 3X3 კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ბოჩაში.
საცხენოსნო იპოდრომზე ჩატარდა საქართველოს ხალხური ცხენოსნობის ეროვნული ფესტივალი, რომლის ფარგლებში ჩატარდა დოღი 4 დისტანციაზე.
ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ზანა“ თავის საქმიანობას წარმართავს „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კანონმდებლობისა, სფფ-სა და კლუბის წესდებების შესაბამისად.
საფეხბურთო კლუბი „ზანა“ შედგება 17- შტატით და 3- შტატგარეშე ერთეულისგან.
საფეხბურთო კლუბ ,,ზანაში“ ფუნქციონირებს ჭაბუკთა სამი საშეჯიბრო ჯგუფი U1; U13; U15, რომლებიც მონაწილეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჩემპიონატში. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 51 მატჩი (მ. შ. გასვლითი 25, ხოლო შინ- 26). საფეხბურთო კლუბი „ზანას“ ყველა ასაკობრივი გუნდი ეკიპირებულია სათანადო სათამაშო ფორმით და აღჭურვილია სავარჯიშო ინვენტარით (ასაკის შესაბამისი ზომის ბურთები, გადასაცმელები, კონუსები და სხვ. სავარჯიშო აქსესუარები). გასვლით მატჩებზე ყველა ასაკობრივი გუნდი უზრუნველყოფილია ტრანსპორტითა და კვებით. მიმდინარე წლის მაისიდან შეიქმნა ახალი U-9 (2014-2015 წ. წ) არასაშეჯიბრო ასაკობრივი გუნდი, რომელიც 2024 წელს ჩაერთვება U 10- ის ოფიციალურ ჩემპიონატში. საფეხბურთო კლუბში ვარჯიშობს 110-მდე ჭაბუკი ფეხბურთელი. კლუბში ფუნქციონირებს რეგიონული ლიგა, რომელიც მონაწილეობს ეროვნული ჩემპიონატის რეგიონული ლიგის დასავლეთ გ ჯგუფში. ფინანსდება ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან. დაფინანსება შეადგენს 50 000 ლარს. მიმდინარეობს რეგიონული ლიგის ჩემპიონატი, დღეის მდგომარეობით ვართ პირველ ადგილზე. „ზანას“ მიენიჭა სფფ სკოლებისა და აკადემიების ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში IV კატეგორია, რომელიც დამატებით დაფინანსდა ფონდიდან უმცროსი ასაკობრივი ჯგუფისთვის 5000 ლარით.
შშმ პირთა მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში, 21 მარტს დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, სამსახურის ორგანიზებით N1 საჯარო სკოლაში ინფორმაციული ხასიათის ღონისძიება გაიმართა სახელწოდებით - ,,მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან“. ამავე ქვეპროგრამის ფაგლებში, 14 ივნისს შ.შ.მ. პირთა უფლებების დაცვის ეროვნული დღის აღსანიშნავად მუნიციპალიტეტში გაიმართა თემატური აქტივობა.
24 ივნისს კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის დარბაზში ,,ქართული ლიგის“ აბაშის სასკოლო იუმორისტული ფესტივალი ჩატარდა.
სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონიდან მოსწავლეები ჩაერთნენ ანაკლიის საზაფხულო ბანაკში, გრაფიკის შესაბამისად ჩვენი მუნიციპალიტეტიდან კი სამ ნაკადზე ბანაკში ჩაერთო 25 (14-დან 18 წლის ჩათვლით) წარმატებული მოსწავლე.
ა(ა)იპ ,,საქართველოს სტუდენტური პარლამენტის“ მიერ მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალხინოში განახორციელდა პროექტი ,,I see you-აღმოაჩინე საქართველო-მარტვილის მუნიციპალიტეტი“. პროექტში, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა, ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ჩაერთო 12 ახალგაზრდა.
წელს პირველად აბაშის მუნიციპალიტეტში, ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის (100% საგრანტო ქულა) მქონე წარმატებული სტუდენტები დაჯილდოვდნენ. წარმატებულმა სტუდენტებმა ჯილდოდ აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის „ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამიდან“ ერთჯერადად 500 ლარი მიიღეს.

ეკონომიკა, ქონების მართვა და სოფლის მეურნეობა

აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები გატარდა, რომლის ძირითადი მიზანია მავნებლის რაოდენობის შემცირება და კონტროლი, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანება და მისგან გამოწვეული ეკონომიკური ზარალი.

საანგარიშო პერიოდში აბაშის მუნიციპალიტეტის ექვს ადმინისტრაციულ ერთეულში: ქ. აბაშა, ონტოფო, მარანი, ზანათი, სამიქაო და წყემში დაფიქსირდა ცოფის კერა. რის საფუძველზეც სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ, გამოცხადებულ იქნა ვეტერინალური კარანტინი. კარანტინის პერიოდში დახმარება გავუწიეთ „სურსათის ეროვნული სააგენტო“-ს ვეტერინალურ-სანიტარული ღონისძიებების გატარებაში.

განყოფილება პერიოდულად უწევდა ორგანიზებას და იღებდა მონაწილეობას ქალაქის ტერიტორიაზე საყოფახცოვრებო ნარჩენების დასუფთავების აქციას.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონებისა და ადგილობრივი მოსაკრებლის განყოფილების მიერ გატარებულ იქნა შემდეგი სამუშაოები:

გაიგზავნა მომართვები სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სხვადასხვა უძრავი ქონებების აბაშის მუნიციპალიტეტზე დამატებითი ქონების სახით გადმოცემაზე. ასევე გაგზავნილ იქნა მომართვები სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებსა და უწყებებში.

გაფორმდა 3 ხელშეკრულება აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის თაობაზე.

მუნიციპალური ქონების და ადგილობრივი მოსაკრებლის განყოფილება აწარმოებს ადგილობრივი მოსაკრებლის ამოღებას: 2023 წლის 9 თვის განმავლობაში ამოღებულია - 57882 ლარი, მათ შორის:

მოსაკრებელი: დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების - 13209 ლარი.

მოსაკრებელი: მშენებლობის სანებართვო - 13054 ლარი.

მოსაკრებელი: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული <u>მიწის</u> იჯარიდან (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) მიღებული შემოსავალი - 9730 ლარი.

შიდა აუდიტი

2023 წლის 3 თებერვალს აბაშის მუნიციპალიტეტის მერის N ბ10.102303410 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის სამოქმედო გეგმა.

გეგმით გათვალისწინებულ იქნა 2023 წლის საანგარიშო პერიოდში 5 აუდიტორული შემოწმების ჩატარება. აქედან 2 მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის, კერძოდ: სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური, ადმინისტრაციული სამსახური, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება. არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის, კერძოდ ა(ა)იპ აბაშის საფეხბურთო კლუბი „ზანა“, ა(ა)იპ აბაშის სპორტის განვითარების ცენტრი, ა(ა)იპ ,,აბაშის კეთილმოწყობა“.

შემოწმების თემად განისაზღვრა შესაბამისობის აუდიტი, შესამოწმებელ პერიოდად 2022 წელი.

შემოწმებული იქნა ზემოთაღნიშნული სტრუქტურული ერთეულები, დაიწერა აუდიტორული ანგარიშები. შემოწმების პერიოდში სერიოზული დარღვევები „მიგნებები“ არ აღმოჩენილა. დაფიქსირებულ ნაკლოვანებებზე გაცემულ იქნა რეკომენდაციები.

საანგარიშო წლის პერიოდში სამოქმედო გეგმისა და შიდა აუდიტის სამსახურის დებულების შესაბამისად, ინსპექტირების განყოფილების მიერ პერიოდულად ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურეობრივი კონტროლი, ინსპექტირების განყოფილების მიერ სამსახურეობრივი ეთიკის ნორმების შესრულებაზე კონტროლი და ზედამხედველობა ხორციელდებოდა მერიის სტრუქტურული ერთეულების მოხელეებზე, შიდა აუდიტის სამსახურის დებულების შესაბამისად.

სამხედრო აღრიცხვა, გაწვევა და მობილიზაცია

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ წლის საგაზაფხულო გაწვევასთან და მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვასთან დაკავშირებით გარკვეული მუშაობა იქნა ჩატარებული.

2023 წლის საშემოდგომო გაწვევის გეგმა-დავალების შესასრულებლად მიმდინარეობს გარკვეული სამუშაოები, აგრეთვე მიმდინარეობს 2007 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველადი სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის მოსამზადებელი სამუშაოები. მ/წლის იანვარი-სექტემბრის მდგომარეობით გამწვევ კომისიაზე გამოცხადდა 121 წვევამდელი, შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტზე წაყვანილ იქნა 24 წვევამდელი, აქედან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჩაირიცხა 9 წვევამდელი, ხოლო დაცვის პოლიციაში გაწვეული 3 წვევამდელი. საქართველოს კანონით „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ 112 წვევამდელს მიეცა გადავადება კანონის სხვადასხვა მუხლებით.

მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულია როგორც სამხედრო ვალდებულთა რესურსიდან, ასევე, წვევამდელთა რესურსიდან - 28 პიროვნება. აქტიურ სამხედრო რეზერვში გაწვეულია 7 პიროვნება.

ამასთანავე მიმდინარეობს მთხოვნელთა მიღება და მათ მოთხოვნებზე სათანადო გადაწყვეტილებების მიღება.

ადმინისტრაცია, მოქალაქეთა ჩართულობა, გამჭვირვალობა

მოგეხსენებათ, რომ სამსახურისა და მთლიანად მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ინდიკატორს წარმოადგენს მოქალაქეთა განცხადებებსა და წერილებზე მუშაობა. სამსახურის საჯარო მოხელეებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ თითოეული განცხადების უკან კონკრეტული მოქალაქეა თავისი პრობლემებით. ამიტომ მათზე გულისხმიერი დროული საქმიანი და ობიექტური რეაგირება განსაზღვრავს თვითმმართველობის ხელმძღვანელებისა და თითოეული მოხელისადმი საზოგადოების ნდობასა და ავტორიტეტს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური დახმარების გაწევის თაობაზე შემოსულია 2200-ზე მეტი განცხადება, რომლებიც შესწავლილი და განხილულია შესაბამისი კომისიის მიერ.

სამსახურში დიდი ყურადღება ეთმობოდა ადამიანური რესურსების მართვის საკითხებსა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას. განახლდა მერიის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა სამუშაოთა აღწერილობები, კვარტალურად ხდება მოხელეების შუალედური შეფასება. განყოფილება ასევე, უზრუნველყოფს მერიისა და საჯარო სამსახური ბიუროს თანამშრომლობით გამოცხადებული

ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარებას, გამოცხადდა კონკურსი 2 ვაკანტურ თანამდებობაზე. განყოფილებამ აწარმოა ტრენინგ-საჭიროებების კვლევა და სათანადო გეგმა.

სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილების განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მოქალაქეთა მიღების ორგანიზებასა და მათი ფორმირებას სხვადასხვა საკითხებზე; ამ მხრივ მოქალაქეთა პრობლემების თემატიკიდან გამომდინარე ეფექტურად ვითანამშრომლეთ მუნიციპალიტეტში არსებულ სხვადასხვა სამსახურთან. 300-მდე მოქალაქემ სხვადასხვა საჭიროების გამო მომართა მერს. შეუფერხებლად ხდებოდა სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზება, შეუფერხებლად ხდებოდა მოქალაქეებთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა, 24 საათიან რეჟიმში ხორციელდებოდა მერიის სამსახურებისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიება და სელექცია. განახლდა მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი, სადაც განთავსდა 110-მდე ინფორმაცია ასევე, facebook-ის ოფიციალურ გვერდზე განთავსდა 200-მდე ინფორმაცია. ასევე ვებგვერდზე მიმდინარეობს საჯარო რეესტრის წარმოება. განყოფილების მიერ გაიცა 40-მდე საჯარო ინფორმაცია.

ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების ორგანიზებით სოფლის მხარდაჭერის პროფრამის ფარგლებში სულ ჩატარებულია 15 ადმინისტრაციულ ერთეულში 35 საერთო კრება და კონსულტაცია.

ბოლოს, აღვნიშნავ, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ვმუშაობთ კონსტრუქციული თანამშრომლობის რეჟიმში, აქტიური კომუნიკაცია გვაქვს რეგიონული და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან, ვგრძნობთ მოსახლეობის მხრიდან მხარდაჭერას, რაც დასახული მიზნების სრულფასოვნად განხორციელების კარგ წინაპირობებს გვიქმნის.

გიგა გაბელაია,
აბაშის მუნიციპალიტეტის მერი.